საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტი
ნერგაბმული აქტის პროექტი
№04-1/16
22" 08 2008
1 ფურცელი

საქართველოს პარლამენტს

საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, ევროკავშირისა და მისი თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის მხარდაჭერითა და გარანტიით რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი შეთანხმების პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ ცეცხლის საბოლოო შეწყვეტას და სამხედრო ძალების დაბრუნებას სამხედრო დაპირისპირებამდე არსებულ პოზიციებზე, საქართველოს მიერ სრულად და უპირობოდაა შესრულებული. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაცია იგნორირებას უკეთებს მის მიერ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, შეთანხმებით გათვალისწინებული ტერიტორიიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ პუნქტებში ჯერ კიდევ იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის სამხედროები და საბრძოლო ტექნიკა, რომელთაც კვლავ უკანონოდ აქვთ დაკავებული დასახლებული პუნქტები, მიზანმიმართულად ანადგურებენ სამოქალაქო ინფრასტრუქტურას – შენობებს, გზებსა და ხიდებს, ფოთის პორტს და მთავარ სარკინიგზო მაგისტრალს, ნაღმავენ და აფეთქებენ სამხედრო ობიექტებს, ზღუდავენ საქართველოს მოქალაქეების, დიპლომატიური

კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების თავისუფალ გადაადგილებას, აბრკოლებენ ჰუმანიტარული ტვირთების მოძრაობას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვრჩებით რა შეთანხმებით განმტკიცებული ცეცხლის უპირობო შეწყვეტის პრინციპის ერთგული, სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოს სუვერენიტეტის სათანადო გარანტიების შექმნამდე, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ თანხმობას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს N 402 ბრძანებულებით გამოცხადებული საომარი მდგომარეობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2008 წლის 8 სექტემბრამდე.

მიხეილ სააკაშვილი

№ 1/306
22.08.2008